



სოფლის მეურნეობა რიცხვებში

2020



სოფლის მეურნეობა

ძირითადი ტენდენციები

თბილისი, 2021 წელი

პუბლიკაციის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

ეკატერინე ზვიადაძე
ნინო კულატამიშვილი
მიხეილ კობახიძე
თამარ თარაშვილი

პირობითი აღნიშვნები:

... ინფრომაცია არ არის ხელმისაწვდომი.
0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

შენიშვნები:

ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავება ჯამურ შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

პუბლიკაციაში არსებული მონაცემები არ მოიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი).

სტატისტიკური მონაცემების წყაროს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შინაარსი


აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება	5
მთლიანი შიდა პროდუქტი.....	6
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში.....	6
მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში.....	7
დასაქმება	8
ბიზნეს სექტორი	9
საგარეო ვაჭრობა	12

აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება

2020 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვებამ 5.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 11.3%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 59.3%-ით აღემატება.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობების გამოშვების მაჩვენებელში, უდიდესი წილი მოდის სოფლის მეურნეობაზე (2020 წლის მაჩვენებლების მიხედვით - 95.4%). 2020 წელს, სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის გამოშვებამ (პირველადი წარმოება), 5.5 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 658 მლნ ლარით (13.6%) აღემატება 2019 წლის და 2.4 მილიარდი ლარით (75.1%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებლებს.

2012 წლიდან 2020 წლამდე, სოფლის მეურნეობის დარგის გამოშვების მაჩვენებლის ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანის და მეცხოველეობის მიმართულებით დაფიქსირებული გამოშვების ზრდის მაღალმა მაჩვენებელმა.



2020 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 6.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 596 მლნ ლარით (10.4%), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 2.3 მილიარდი ლარით (56.3%) აღემატება. რაც შეეხება 2020 წელს აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდას 2019 და 2012 წლებთან მიმართებაში, შესაბამისად 1.3 მლრდ (11.9%) და 4.6 მლრდ (64.5%) შეადგინა.




მთლიანი შიდა პროდუქტი

მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში

2020 წლის მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულება, მიმდინარე ფასებში, 3.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 387 მლნ ლარით (12.1%) აღემატება 2019 წლის და 1.4 მლრდ ლარით (61.3%) აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.


2012-2020 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 2-ჯერ გაიზარდა და 14,519 ლარი შეადგინა.




აღნიშნულ პერიოდში, დამატებული ღირებულების ზრდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს, რაც დიდწილად მემცენარეობის დარგზე, კერძოდ კი მრავალწლოვანი კულტურების წარმოებაზე მოდის.

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში

2020 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ მუდმივ ფასებში 2.9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 8.1%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 24.6%-ით აღემატება. 2012-2020 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 72.7 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 2.8%-ს შეადგენს.



2012-2020 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 4,218 ლარით (54.8%) გაიზარდა და 11,912 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 527 ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 5.8%-ს შეადგენს.



დასაქმება

2020 წელს საქსტატმა გამოაქვეყნა სამუშაო ძალის გამოკვლევის შედეგები ახალი მეთოდოლოგიით, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებული იქნა 2013 წელს და ოფიციალურად ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში.


ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, ძირითად ცვლილებას წარმოადგენს თვითდასაქმებული მოსახლეობის გადაკვალიფიცირება, კერძოდ თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის (50%-ზე მეტი). აღნიშნული პირები გადაკვალიფიცირდნენ და შეუერთდნენ ან უმუშევართა რაოდენობას ან მოსახლეობას სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ ახალი მეთოდოლოგიით დასაქმებულად აღარ ითვლება შინამეურნეობის წევრი თუ ის უშუალოდ არ არის ჩართული იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელიც გასაყიდად არ არის განკუთვნილი (მაგ: თუ შინამეურნეობა აწარმოებს ვაშლს და 50 %-ს ან მეტს ყიდის, ხოლო ოჯახის სხვა წევრი არ არის ამ პროცესში ჩართული და მხოლოდ ძროხას უვლის რომლისგან მიღებული პროდუქცია არ იყიდება ეს წევრი დასაქმებულთა კატეგორიაში არ ვაგა, ახალი მეთოდოლოგიის თანახმად).

ახალი სტანდარტის მიხედვით, მონაცემების გადაანგარიშება მოხდა 2010 წლიდან. გადაანგარიშებული მონაცემებიდან ძირითადი ცვლილებები შეეხო სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში.

2020 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობამ 247

ათასი კაცი შეადგინა, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა 19.9%-ს შეადგენს.

2012-დან 2020 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 60.0 ათასი კაცით (19.5%), ხოლო მათი წილი ქვეყანაში დასაქმებულებში, 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამავე პერიოდში, ქვეყანაში დასაქმებულთა ჯამური რიცხოვნობა 29.6 ათასი კაცით გაიზარდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულები ეტაპობრივად გადადიან სხვა, უფრო მაღალ შემოსავლიან სექტორებში და ქვეყანაში ადგილი აქვს არა მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, აგრეთვე სამუშაო ძალის მოძრაობას.




ბიზნეს სექტორი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობები

ბიზნეს სექტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური პერიოდის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საწარმო (მსხვილი, საშუალო, მცირე) არის ეკონომიკური ერთეული (დარეგისტრირებული ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი), რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, ამავდროულად, ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე ეკონომიკურ საქმიანობას. ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. აღნიშნული გამოკვლევა მოიცავს ბიზნეს სექტორს, გარდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებისა, სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოებისა, შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობებისა, შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოებისა, ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობისა. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავში, მოცემულია ბიზნეს სექტორის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ სოფლის, სატყეო

და თევზის მეურნეობებისათვის.


ქვეყანაში იზრდება აგრარული სექტორით ბიზნესწრეების წარმომადგენელთა დაინტერესება. 2020 წელს, საწარმოთა მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, განხორციელდა 4.8 მლრდ ლარის ღირებულების სურსათის, სასმელებისა და თამბაქოს წარმოება, რაც 4.4%-ით აღემატება 2019 წლის და 114.4%-ით აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2020 წელს, ბიზნეს სექტორის ბრუნვამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 653 მლნ ლარი შეადგინა, რაც 155 მლნ ლარით (13.0%) აღემატება 2019 წლის და 448 მლნ ლარით (219%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2020 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 56 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 16.2%-ს შეადგენს.




2020 წელს, ბიზნეს სექტორის გამოშვებამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 726 მლნ ლარი შეადგინა, რაც 109 მლნ ლარით (17.7%) აღემატება 2019 წლის და 492 მლნ ლარით (210%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2020 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 62 მლნ ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 15.4%-ს შეადგენდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში, 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული, გამოშვების საშუალო მაჩვენებლის დინამიკა. 2012-დან 2020 წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი 30 ათასი ლარით (106.9%) გაიზარდა და 59 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 3.8 ათას ლარს, ხოლო საშუალო წლიური მატების ტემპი 11.2%-ს შეადგენდა. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს ბიზნეს სექტორის მიერ, დარგში ტექნოლოგიების და შესაბამისად, პროდუქტიულობის ზრდაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017-2020 წლები, როდესაც სექტორში 1 დასაქმებულზე გაანგარიშებული გამოშვების საშუალო წლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი ორნიშნა რიცხვი იყო, ამასთან, მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2020 წელს 22.2%-ს მიაღწია.



2012-დან 2020 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 4.1 ათასი კაცი (49.9%) გაიზარდა და 2020 წელს 12.3 ათასი კაცი შეადგინა.


2012-დან 2020 წლამდე, დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი საშუალო ყოველთვიური ანაზღაურებაც. აღნიშნულ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება 394 ლარით (93.0%) გაიზარდა და 2020 წელს 818 ლარი შეადგინა.



დარგში, ბიზნეს სექტორის განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაც. 2013-2020 წლებში, ბიზნეს სექტორის მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ

1 012 მლნ ლარი შეადგინა.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობით ბიზნეს სექტორის მზარდ ინტერესზე მიუთითებს საქონლისა და მომსახურების ყიდვების მაჩვენებლებიც. კერძოდ, 2020 წელს, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 507 მლნ ლარი შეადგინა, რაც 351 მლნ ლარით (225%) აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



საგარეო ვაჭრობა



2020 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 942.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 6.0%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო 84.5%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2020 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 28.2%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო (22%), სპირტიანი სასმელები (14%), მინერალური და მტკნარი წყლები (12%), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (10%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%), სიგარეტი (3%), ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3%) და სხვა.

2020 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან 92 ქვეყანაში განხორციელდა.


2020 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.21 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 3.5%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე.

2020 წელს, ქვეყნის მთლიან იმპორტში, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 15.0%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: ხორბალი (9%), სიგარეტი (7%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შაქარი (4%), მცენარეული ზეთი (3%), შოკოლადის ნაწარმი (4%), საკვები დანამატები (3%), ფეკილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%) და სხვა.


აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა 105 ქვეყნიდან. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 27%-ით და 266 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება 2012-2020 წლების პერიოდს, აღნიშნული მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა 2.8-ჯერ შემცირდა (2012 წელს, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო (-753) მლნ აშშ დოლარს შეადგენდა).




აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები
(2020 წელი)



ძირითადი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის
ექსპორტში, 2020 წელი (მილიონი აშშ დოლარი)





2020 წლის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 163 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 25%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 61%-ით აღემატება. 2020 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი, როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული სახით (50%), ღვინო (16%), სპირტიანი სასმელები (15%), მინერალური წყლები (10%) და სხვა.

2020 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია 263 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 10%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი შეადგენს 22%-ს. ძირითადად იმპორტირებულია: სპირტიანი სასმელები (8%), საკვები დანამატები (8%), ფრინველის ხორცი (7%), ცხოველების საკვები (6%), კარაქი (5%), შაქარი (4%), მცენარეთა ნერგები (4%) და სხვა.

